ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 10/54

2024 წლის 30 ოქტომბერი

ქალაქი ფოთი

პროექტის „პალიასტომის ტბისა და მდინარე კაპარჭინას კავშირის აღდგენის გეგმა" განხორციელების მიზნით, ევროკავშირის მიერ გამოყოფილი გრანტის მიღებასთან დაკავშირებით, საქართველოს მთავრობის წინაშე შუამდგომლობით მიმართვის მიზნით, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის პირველი, მეორე პუნქტების, მე-100 მუხლის მე-5 და მე-7 პუნქტების შესაბამისად:

მუხლი 1.
მიეცეს თანხმობა ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერს, საკრებულოს წინასწარი თანხმობის საფუძველზე, შუამდგომლობით მიმართოს საქართველოს მთავრობას, პროექტის ,,პალიასტომის ტბისა და მდინარე კაპარჭინას კავშირის აღდგენის გეგმა" განხორციელების მიზნით, ევროკავშირის მიერ გამოყოფილი გრანტის 75 000 (სამოცდათხუთმეტიათასი) ევროს მისაღებად თანხმობის მიღების თაობაზე.
მუხლი 2.
განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი, დავით აღმაშენებლის ქუჩა №3).
მუხლი 3.
განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **ალექსანდრე ტყებუჩავა**